www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 20 დეკემბერი, 2013 წელი. | №3433 (240) | ფასი 50 თეთრი

1000 მოშიმშილე და ხელისუფლების პასუხი

გეგუთის ციხის პატიმრები შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ. უკვე მეორე დღეა, N14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 1000-მდე მსჯავრდებული თავისი საქმეების გადახედვის მოთხოვნით შიმშილობს. პატიმრები ეკა ბესელიასთან და სოზარ სუბართან შეხვედრასაც ითხოვენ.

მოშიმშილეებთან უკვე იმყოფებოდნენ ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და სახალხო დამცველის რეგიონული წარმომადგენლები.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მთავრობა „კრაკადილთან" გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს

გიგი უგულავა: „რას უნდა ელოდე პროკურატურისგან?"

მთავარი პროკურატურა ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, რა სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას მოითხოვს თბილისის მერისთვის, თუმცა ცნობილია, რომ პროკურატურა ამ საკითხით სასამართლოს უახლოეს დღეებში მიმართავს.

ბრალდება, რომელიც დედაქალაქის მერს 18 დეკემბერს წარუდგინეს, 7-დან 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გიგი უგულავას საქმეს რუსთავის სასამართლო განიხილავს.

თბილისის მერისთვის ღიმილის მომგვრელია, რომ მისთვის აღკვეთის ღონისძიებაზე პროკურატურა რუსთავის სასამართლოს მიმართავს, რადგან, უგულავას თქმით, „თეორიული დანაშაული" თბილისშია ჩადენილი, საქმის ყველა მონაწილე თბილისში ცხოვრობს და მუშაობს და გასაკვირია, რატომ შედის საქმე რუსთავის სასამართლოში.

„ეს აბსურდი ახლა არ დაწყებულა. მინდა, საზოგადოებას შევახსენო, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში უკვე დაგროვდა ძალიან ბევრი სამართალდამცავის მიერ ჩადენილი დანაშაულები, რომლებიც არ გამოძიებულა. ამის ლოგიკური გაგრძელებაა ცინიკური პასუხი მერაბიშვილის განცხადებაზე - იმ დაშინებაზე და კანონის დარღვევაზე, რასაც, უკვე მაღალი ალბათობით, ადგილი ჰქონდა. მთავრობის ეს ისტერიული რეაქცია მოწმობს იმას, რომ ისინი არ აპირებენ იმ უკანონობის გამოძიებას, რაც მთავარმა პროკურორმა ჩაიდინა. აქედან გამომდინარე, რას უნდა ელოდე პროკურატურისგან?

გაგრძელება მე-2 გვერდზე

იანუკოვიჩი ისევ ორ სკამზე ჯდომას ცდილობს

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	7°C --30°C
ქუთაისი	8°C --2°C
ზუგდიდი	8°C - -1°C
ბათუმი	9°C --2°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

წარმატებას წარმატება მოაქვს ქართული რაგბისთვის

გიგა გურასაშვილი

ნოემბრის ტესტ-მატჩების ფარგლებში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა პირველი დონის გუნდი სამოა 16:15 დაამარცხა. საქართველოს ნაკრები IRB მსოფლიო რეიტინგში დღეს მე-16 ადგილზეა, სამოა კი - მე-8-ზე. მეორე დონის ნაკრების მხრიდან რეიტინგის მოწინავე ათეულის გუნდის დამარცხება უკვალოდ რომ არ ჩაივლიდა, ეს აშკარა იყო.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ოქროს დათვის მაძიებლები

ცნობილია ბერლინალეს რამდენიმე საკონკურსო ფილმი

ია ვეკუა

ვიდრე ამერიკა წინასაოსკარო მკითხაობითაა დაკავებული, გერმანია რეალურ საქმეზე გადადის და მომავალი წლის ბერლინალეს პროგრამის ნაწილს აქვეყნებს. კინოფესტივალის გახსნის ფილმისა და რამდენიმე ზოგადი დეტალის შესახებ ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გახდა ცნობილი - ბერლინალეს უეს ანდერსონის „გრანდ ოტელ „ბუდაპეშტი" გახსნის, რომელიც, როგორც გაირკვა, საკონკურსო მარათონშიც ჩაებმება. მის გარდა ცნობილია კიდევ ექვსი საკონკურსო ფილმი, რომლებსაც ქვემოთ გაგაცნობთ.

გაგრძელება მე-5 გვერდზე



მორიგი ნაციონალები პროკურატურის გზაზე

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. გიორგი ღვინიაშვილსა და კახა ბუცხრიკიძეს პროკურატურის წარმომადგენლებმა უწყება გუშინ მიუტანეს. მთავარ პროკურატურაში ისინი დღეს უნდა გამოცხადდნენ.

როგორც პროკურატურის წარმომადგენელმა კახა ბუცხრიკიძეს განუმარტა, საქმე ეხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მისი ყოფნისას საპატიმრო დაწესებულებიდან მსჯავრდებულთა უკანონო გაყვანასა და მათთვის კანონით აკრძალული შეღავათების გაწევის ფაქტს.

ამასთან, როგორც გიორგი ღვინიაშვილი აცხადებს, უწყებაში არ წერია, მაგრამ პროკურატურის წარმომადგენლებმა სიტყვიერად განმარტეს, რომ საქმე ეხება სანდრო გირგვლიანის მკვლელობას. ღვინიაშვილის შეფასებით, ყველასთვის ნათელია, რომ ეს ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკურ ოპონენტებზე ახალი შეტევის ტალღის ნაწილია.

„მე ნამდვილად არ მჯერა ამ პროკურატურის მიერ ნაწარმოები გამოძიების, მაგრამ, ვინაიდან გირგვლიანის საქმე საზოგადოებისთვის ძალიან დიდ ინტერესს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ იმუნიტეტი გამაჩნია და შემიძლია, პროკურატურაში არ გამოვცხადდე, მე, გამონაკლისის სახით, პროკურატურაში აუცილებლად გამოვცხადდები, რათა ხელისუფლებას ამ თემაზე სპეკულაციის საშუალება არ დავუტოვო,“ - აღნიშნა დეპუტატმა.

«ნაციონალური მოძრაობის“ წევრების განცხადებების შემდეგ პროკურატურამ განმარტა, რომ გიორგი ღვინიაშვილი და კახაბერ ბუცხრიკიძე მთავარ პროკურატურაში მოწმის სახით არიან დაბარებულები.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმე ეხება თბილისის პროკურორის თანამდებობაზე გიორგი ღვინიაშვილის მუშაობის პერიოდში სანდრო გირგვლიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის, მისი წამების, გარდაცვალებისა და ცალკეულ საჯარო მოხელეთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს, ხოლო კახა ბუცხრიკიძის შემთხვევაში - სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, სანდრო გირგვლიანის საქმეზე მსჯავრდებულ პირთა მიერ სასჯელის მოხდისას საპატიმრო დაწესებულების უკანონოდ დატოვებისა და მათთვის კანონით აკრძალული შეღავათების გაწევის ფაქტებს.

კახა ბუცხრიკიძე 2005-2008 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო. 2008-2012 წლებში - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენინსპექციის უფროსი; თავდაცვის მინისტრის მოადგილე. 2012 წლიდან კი მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრია.

გიორგი ღვინიაშვილი 2002-2003 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გენერალური ინსპექციის უფროსად მუშაობდა. 2004-2006 წლებში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი იყო, 2006-2008 წლებში კი საქართველოს პროკურატურაში, სამმართველოს უფროსის და ასევე დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა ეკავა. ამასთან, ღვინიაშვილი თბილისის პროკურორი იყო. ამჟამად იგი გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატია.

საკითხები ჟენევაში რჩება

ჟენევაში გამართული დისკუსიის 26-ე რაუნდიდან საქართველოს დელეგაცია კვლავ შედეგის გარეშე დაბრუნდა. როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი ამბობს, ძალის გამოუყენებლობის დოკუმენტის საკითხი განხილვის ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა.

ზალკალიანი აღნიშნავს, რომ საქართველოს ამ თვალსაზრისით იურიდიული ვალდებულება, რომელიც 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, შესრულებული აქვს. **„ვითხოვთ, რომ რუსეთის ფედერაციამ შემხვედრი ნაბიჯი გადადგას, მაგრამ მოსკოვი, უკვე მერამდენე რაუნდია, ამას ეწინააღმდეგება. როგორც გრიგორი კარასინმა განაცხადა, რუსეთი ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღებას არ აპირებს,“** - აღნიშნავს ზალკალიანი.

ქართული მხარე დისკუსიის თანათავმჯდომარეებს მოუწოდებს, მცდელობები გააგრძელონ, რათა რუსეთის ფედერაციამ საპასუხო გადაწყვეტილება მიიღოს.

ზალკალიანის ინფორმაციით, განხილვის ერთ-ერთი თემა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ გავლებული მავთულხლართები იყო. **„ამ საკითხის შესახებ ძალიან მკაცრი და უარყოფითი პოზიცია გამოვხატეთ, ეს ქმედებები დავგმეთ. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ და თანათავმჯდომარეებმაც რუსეთის ფედერაციას ამ ქმედების შეჩერებისკენ მოუწოდეს და აღნიშნეს, რომ ეს ხელს არ უწყობს ადამიანის ისეთი ფუნდამენტური უფლების დაცვას, როგორიცა თავისუფალი გადაადგილების უფლებაა. ჩვენი პოზიცია უამრავი ფაქტობრივი მასალით იყო გამყარებული, რომელიც, როგორც თანათავმჯდომარეებს, ისე აშშ-ს დელეგაციას წარვუდგინეთ,“** - დასძენს დავით სალკალიანი.

მინისტრის მოადგილის თქმით, განხილვის საგანი იყო ოკუპირებულ აფხაზეთში ეთნიკურ ნიადაგზე ქართველების წინააღმდეგ არსებული დისკრიმინაციული მიდგომები. **„ჩვენი დამოკიდებულება მკაფიოდ გამოვხატეთ,“** - ამბობს ზალკალიანი.

დავით ზალკალიანი იმასაც აღნიშნავს, რომ დისკუსიის ფარგლებში დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვა მოხერხდა. **„ამჯერად ფორმატით გათვალისწინებული საკითხების ირგვლივ არანაირი პრობლემა არ ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ ფორმატი შენარჩუნებულია,“** - აღნიშნავს დავით ზალკალიანი.

საკუთარი ინფორმაცია

1000 მოშიმშილე და ხელისუფლების პასუხი

პირველი გვერდიდან

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი მიიჩნევს, რომ შექნილი ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი პატიმართა საქმეების გადახედვის კონკრეტული სისტემის შექმნაა.

სასჯელაღსრულების მინისტრის სოზარ სუბარის განცხადებით, პატიმრებს პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის მოთხოვნები აქვთ და ამის გამო სამინისტროს, მოშიმშილეებზე ზედამხედველობის გარდა, არაფერი შეუძლია.

«ციხეებში ამ დროისთვის 961 პატიმარი შიმშილობს, აქედან გეგუთის ციხეში - 909, სხვა ციხეებში - 52. 52 პატიმარი კარგა ხანია შიმშილობს, 909 პატიმარმა კი შიმშილობა გუშინ დაიწყო.

სამართლებრივია, როდესაც თითოეული მათგანი თავისი პირადი საქმის გადახედვას ითხოვს და ამაში სამინისტრო ვერ ჩაერევა. პოლიტიკური ხასიათისა ისეთი გადაწყვეტილება, რა მექანიზმი იქნება საქმეების გადასახედად - კომისია თუ სხვა რამ. არსებობს საკანონმდებლო ხასიათის მოთხოვნებიც, როგორიც არის გარკვეული მუხლების გაუქმება ან ლიბერალიზაცია და ესეც სულ სხვა თემაა. სამინისტროს, მათ ჯანმრთელობაზე ყოველდღიური ზედამხედველობის გარდა, არაფერი შეუძლია,“ - განაცხადა სუბარმა.

მინისტრის შეფასებით, სამინისტროს მხრიდან პატიმრების მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალება არ არსებობს, შესაბამისად ერთადერთი გამოსავალი შიმშილობის შეწყვეტაა.

მინისტრი პატიმრებს ვერც სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის გაუქმების პირობას აძლევს (ეს მუხლი ქურდული სამყაროს წევრობას ეხება). სუბარის განმარტებით, აღნიშნული მუხლი არ შეიცვლება.

„კომისიის შექმნაზე ჩვენ ვმუშაობთ და შესაძლოა, ცალკეულ საკითხებზე მოვრიგდეთ, თუ ისინი დიალოგზე წამოვლენ. მაგრამ თუ საუბარია 223-ე, 260-ე ან 262-ე მუხლების გაუქმებაზე, ამ საკითხზე ვერ შევთანხმდებით. დიალოგისთვის ჩვენ მზად ვართ, თუმცა გარკვეული საკითხების შესახებ,“ - აღნიშნა სუბარმა.

რაც შეეხება მკურნალობის და მედიკამენტების მიღების მოთხოვნებს, მინისტრის განცხადებით, საოცარია ის, თითქოს პატიმრებს წამლები ახლა არ მიეწოდებათ და აქამდე ისინი უზრუნველყოფილები იყვნენ. მინისტრი პატიმრების ამ მოთხოვნებს არ იზიარებს და ერთ კონკრეტულ მაგალითსაც ასახელებს.

გუშინ მეექვსე დაწესებულებაში ერთმა პატიმარმა თვითდაზიანება მიიყენა, რის შემდეგაც ფსიქოტროპული მედიკამენტი მოითხოვა. ექიმის დანიშნულების გარეშე ამ ტიპის წამლებს ჩვენ არ გავცემთ, ამიტომ მოთხოვნასაც ვერ შევასრულებთ,“ - განაცხადა სოზარ სუბარმა.

ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია პატიმრებთან შეხვედრას უახლოეს დღეებში გეგმავს და აცხადებს, რომ ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცდება, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერი გააკეთოს.

ვაპირებ, მათ პირადად შევხვდე ამ კვირაში და ვაპირებ, მათთან მოლაპარაკება დავიწყო. უბრალოდ, ბოლო ორი დღეა, ჩემი ფიზიკური ჯანმრთელობის გამო ვერ მოვახერხე შეხვედრა. რისი გაკეთებაც შესაძლებელია, ხელისუფლება გეგმავს, რომ მაქსიმალურად გააკეთოს,“ - განაცხადა ეკა ბესელიამ.

მოშიმშილე პატიმრების მოთხოვნებს პრეზიდენტიც გამოეხმაურა. მარგველაშვილის განმარტებით, კანონი არა ულტიმატუმის შედეგად, არამედ საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებით იცვლება.

ეს პროცესი არ უნდა განხორციელდეს ულტიმატუმის სახით. ეს პროცესი საკანონმდებლო ორგანოში უნდა განხორციელდეს,“ - აღნიშნა მარგველაშვილმა.

ამასთან, პრეზიდენტმა ყველა პატიმარს მალე გათავისუფლება და საკუთარ ოჯახებში დაბრუნება უსურვა.

ფორუმი უმაღლესი განათლების ლიდერთათვის

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და კომპანია Microsoft საქართველოს ორგანიზებით გაიმართა უმაღლესი განათლების ლიდერთა ფორუმი - **ხარისხის განვითარება ინსტიტუციური ეფექტურობისთვის და ტექნოლოგიების როლი უმაღლეს განათლებაში**. ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორები და სხვა წარმომადგენლები.

შეხვედრის მთავარ მიზანს წარმოადგენდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრიორიტეტებისა და საჭიროებების განხილვა და იმ ტექნოლოგიური გადაწყვეტების და მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების გაცნობა, რომლებიც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების, ადმინისტრირების პროცესების თუ ინფრასტრუქტურის მართვის ხარისხის ზრდას.

ლიდერთა ფორუმზე პრეზენტაციაწარმოადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა ელენე ჯიბლაძემ. სპეციალურად ფორუმისთვის თბილისში ჩამოვიდა განათლების გადაწყვეტების ექსპერტი, Microsoft-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წარმომადგენლობის წევრი ოლივერ ზოფიჩი, რომელმაც წარმოადგინა უახლეს ქლაუდ ტექნოლოგია Office 365 და სპეციალურიშეთავაზებები სტუდენტებისთვის.განათლებაში თანამედროვე ტენდენციებზე ისაუბრა Microsoft საქართველოს განამთლების მენეჯერმა შოთა მურცხვალაძემ. ტექნოლოგიირი გადაწყვეტებიწარმოადგინეს ბიზნესის წარმომადგენლებმა (დავით კიზირია - Innovative Systems Management, დავით გაბრიჩიძე - UGT, დავით რამიშვილი - High Tech Solutions), რომლებიც უშუალოდ მუშაობენ საუნივერსიტეტო საკითხებზე.

ტექნოლოგიების წარმატებით დანერგვისთვის და გამორჩეული პარტნიორობისთვის Microsoft-მა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს სერტიფიკატი გადასცა. უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ღავთაძემ ტექნოლოგიების დანერგვის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

მთავრობა „კრაკადილთან“ გადამწყვეტ ბრძოლას იწყებს

პირველი გვერდიდან

მთავრობა ფარმაცევტულ ქსელში იმ ნივთიერებების მკაცრ კონტროლს იწყებს, რომელთაგანაც ნარკოტიკული თრობის საშუალებები მზადდება. გუშინ მთავრობის სხდომაზე მოიწონეს შინაგან საქმეთა მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძის მიერ წარდგენილი პროექტი «ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილებების შესახებ.

მთავრობის სხდომის შემდეგ ჭიკაიძემ განმარტა, რომ იმ აფთიაქების მიმართ, სადაც ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები ურეცეპტოდ გაიყიდება, სანქციები გამკაცრდება - პირველივე ჯერზე აფთიაქის მფლობელი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა და სააფთიაქო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, მინიმუმ, 10 წლით ჩამოერთმევა.

კანონპროექტის მიზანი კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკების მოხმარების აღმოფხვრა და ლეგალური სამკურნალო საშუალებების არალეგალურ არხებში გადინების პრევენციაა.

შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ 2009 წლიდან საქართველოში კუსტარულად დამზადებული ნარკოტიკული საშუალებების (დეზომორფინი «კრაკადილი“) და ამფეტამინების (ე.წ. «ვინტის“ და «ჯეფის“) მოხმარების მკვეთრი ზრდა ფიქსირდება. მათ დასამზადებლად საჭირო უმთავრესი ქიმიური ნივთიერებების აფთიაქში შეძენა ადვილად შესაძლებელია მზა ფარმაცევტული პროდუქტის - კოდეინის, ეფედრინის, ფსევდოეფედრინისა და ნორეფედრინის შემცველი კომბინირებული საშუალებების სახით. აღნიშნული კომბინირებული საშუალებები აფთიაქებიდან «ფორმა N2“ რეცეპტის საფუძველზე უნდა გაიცემოდეს, თუმცა, როგორც სამინისტროში აღნიშნავენ, ეს წესი უმეტეს შემთხვევაში უხეშად ირღვევა.

ოფიციალური ინფორმაციით, ჯანდაცვისა და შსს-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის, ისევე როგორც აღნიშნული უწყებების მინისტრების ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, 2013 წლის 16 ოქტომბრიდან 1 დეკემბრამდე 27 აფთიაქში ჩატარებულმა ერთობლივმა ინსპექტირებამ გამოავლინა, რომ «ფორმა N2“ რეცეპტის გარეშე, კანონმდებლობის დარღვევით, 3 447 946 ერთეული (აბი) კოდეინის შემცველი კომბინირებული პრეპარატია გაცემული.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს შეფასებით, ცვლილება ქიმიური, ხელოვნული ნარკოტიკული საშუალებების კონტროლს ეხება. **„დღევანდელი მდგომარეობა შეიძლება სააფთიაქო ნარკომანიად შეფასდეს,“** - ამბობს სერგეენკო, - **ეფედრინის შემცველ მედიკამენტებს ნარკოტიკული ნივთიერების დასამზადებლად მასობრივად იყენებენ, რამაც უკიდურესად შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო.“**

მინისტრის ინფორმაციით, ცვლილების თანახმად, ამ ჯგუფის მედიკამენტები მეორედან პირველ კატეგორიაში გადაინაცვლებს და მათზე ისეთივე შეზღუდვები გავრცელდება, როგორც ნარკოტიკებზე.

ცვლილება, როგორც სერგეენკო ამბობს, ასევე ითვალისწინებს სპეციალური კვოტის დაწესებას ამ ტიპის მედიკამენტების შემოტანის რაოდენობაზე. ჯანდაცვის მინისტრის მტკიცებით, საქართველოში აღნიშნული მედიკამენტი, სამედიცინო მოთხოვნასთან შედარებით, ასეულ ათასობით მეტი შემოდის. **„კვოტით გათვალისწინებულ რაოდენობაზე მეტი მედიკამენტის შემოტანა აიკრძალება, რაც უკონტროლო ვითარებიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა,“** - თქვა დავით სერგეენკომ.

სერგეენკო კიდევ ერთი სიახლის შესახებ საუბრობს, რომელიც საქართველოში სამუშაო ადგილის მაძიებელ პირებს ეხებათ. მინისტრი NDI-ს კვლევის შედეგებს ეხმიანება, რომლის თანახმად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მოსახლეობის 75 პროცენტის აზრით, საქართველოში სამუშაო ადგილების თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა, კვლევაში 12 პროცენტი ვითარების გაუარესების შესახებ საუბრობს, გაუმჯობესებაზე კი მხოლოდ 7 პროცენტი მიუთითებს.

სერგეენკოს თქმით, რეალური ღონისძიებები, რომლებიც საზოგადოებისთვის თვალსაჩინო იქნებოდა, არ განხორციელებულა და მინისტრისთვის NDI-ს კვლევაში მოცემული შედეგები გასაგებია.

დავით სერგეენკო ყურადღებას ბოლო ერთი წლის განმავლობაში გატარებულ სამუშაოზე ამახვილებს და აღნიშნავს, რომ ბაზრის შესწავლის დასაწყებად მნიშვნელოვანი სამუშაოებია გატარებული. **„აგვისტოში სტრატეგია და სამოქმედო გეგმა მომზადდა. ასევე დასრულებულია იურიდიული ფაზის და ტექნიკური მოსამზადებელი სამუშაოების ნაწილი. პირველ ეტაპზე არა მხოლოდ სამუშაოს მაძიებელთა მონაცემები, არამედ შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა იქნება შესწავლილი. მიწოდებისა და მოთხოვნის მაჩვენებელი ერთმანეთთან მაქსიმალურად დაახლოვდება, შესაბამისად, მოთხოვნად პროფესიებზე სახელმწიფო უფასო გადამზადების პროგრამები დაიწყება,“** - აღნიშნავს სერგეენკო.

დაგეგმილი საკანონმდებლო ინიციატივის შესახებ საუბრობს სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი. მთავრობამ პარლამენტში „პატიმრობის შესახებ“ კოდექსში ცვლილებების პროექტის ინიცირების გადაწყვეტილება მიიღო.

პროექტის თანახმად, 4 ტიპის სასჯელაღსრულების დაწესებულება ჩამოყალიბდება. დახურულ და ნახევრად ღია დაწესებულებებს მაღალი და დაბალი რისკის მქონე დაწესებულებები დაემატება.

მაღალი რისკის დაწესებულებაში ისეთი ტიპის მსჯავრდებულები განთავსდებიან, როგორიცაა კრიმინალური ავტორიტეტები, ბანდის ლიდერები, კანონიერი ქურდები ან, როგორც სუბარი ამბობს, მათ ქვემოთ მდგომი რაღაც იერარქიები, რომლებიც სადაც არ უნდა იყვნენ, ადამიანებზე რაღაც ზეგავლენის მოხდენას მუდამ ცდილობენ. მინისტრის განცხადებით, მათ ვინმეზე გავლენის მოხდენის შანსი არ ექნებათ.

ასეთი ციხე ლაითურში შენდება, თუმცა ვიდრე ეს დამთავრდება, ამავე ფუნქციას რუსთავის მე-6 დაწესებულება შეასრულებს, რომლის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციაც ამ პრინციპების შესაბამისად მიმდინარეობს.

დაბალი რისკის დაწესებულებაში კი ის პატიმრები განთავსდებიან, რომლებიც არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ და რესოციალიზაციისთვის არიან განწყობილნი.

ასეთ დაწესებულებაში პროფტექნიკური სასწავლებლის გახსნა იგეგმება, სადაც პატიმრები 10-მდე პროფესიას დაეუფლებიან.

კიდევ ერთი ცვლილება დროებით ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიას ეხება. როგორც სუბარმა თქვა, მეტი გამჭვირვალობისთვის, 7-წევრიან კომისიაში სამინისტროს თანამშრომლებისთვის განკუთვნილი 3 ადგილიდან ერთი აკადემიურ წრეს დაეთმობა, რაც, სუბარის თქმით, ღიაობისთვის აუცილებელია და მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა.

სოზარ სუბარის დაბალი რისკის შემცველი მსჯავრდებულების მიმართ ახალი მიდგომების ჩამოყალიბებაზეც საუბრობს. პროექტის თანახმად, მათ გრძელვადიანი პაემნის უფლება წელიწადში 9-ჯერ მიეცემათ. 6 პაემანი კანონით იქნება გარანტირებული, ხოლო 3-ის შესახებ გადაწყვეტილებას დაწესებულების დირექტორი მიიღებს. **თუ პატიმარი შინაგანაწესს და კანონს არ დაარღვევს, მას დამატებითი პაემნის უფლება მიეცემა,“** - აღნიშნავს სუბარი.

პროექტის თანახმად, ასევე იზრდება იმ პირთა წრე, ვისაც პაემნით სარგებლობის უფლება ექნება. **„დღეისთვის არსებული შეზღუდვები მოეხსნებათ გერს, შვილიშვილს, ბაბუას და ბებიას, ქალს, რომელთანაც პატიმარს საერთო შვილი ჰყავს,“** - ამბობს სოზარ სუბარი.

მინისტრის ინფორმაციით, პატიმრობის შესახებ კოდექსში ასევე დაზუსტდება იმ საშუალებების გამოყენების პირობები, რისი უფლებაც ციხის ადმინისტრაციას აქვს.

კონკრეტულად გაიწერება, რა შემთხვევაში იქნება ნებადართული ცრემლსადენი გაზის ან სხვა საშუალების გამოყენება.

მთავრობამ აგრეთვე მიიღო განკარგულება, რომელიც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს ეხება.

ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრ დავით ნარმანიას მიერ წარდგენილი წინადადებით, შიდა ქართლის საოკუპაციო ხაზის მიმდებარე 9 სოფელში წყალმომარაგების მოწესრიგების სამუშაოები ჩატარდება. მთავრობის გადაწყვეტილებით, სამუშაოები ახალ წლამდე დაიწყება, მათი დასრულების შემდეგ კი, ნარმანიას თქმით, სოფლების - დიდი ხურვალეთის, გუგუტიანთკარის, კოშკას, ზარდიანთკარის, დიცის, მერეთის, ნაღვლის, ატოცისა და კნოლევის მოსახლეობა სასმელ წყალს უწყვეტ რეჟიმში მიიღებს. როგორც ნარმანია ამბობს, აღნიშნულ სოფლებში წყლის გამანაწილებელი სადაწნევო რეზერვუარების მშენებლობა იწყება, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში დიცსა და მერეთში, ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელში წაღვლსა და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში ატოცსა და კნოლევში, წყლის გამანაწილებელი სადაწნევო რეზერვუარების მშენებლობასთან ერთად, დამატებით 5 ჭაბურღილი მოეწყობა.

დავით ნარმანიას თქმით, პროექტის განხორციელებით შიდა ქართლის 9 სოფელში მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდების საკითხი მოგვარდება. მინისტრის მონაცემებით, სამშენებლო სამუშაოების საპროექტო ღირებულება 1 115 000.00 ლარია.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ ხათუნა გოგალაძის წინადადებით, მთავრობამ პარლამენტში «ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ კანონპროექტის ინიცირების გადაწყვეტილება მიიღო. როგორც მინისტრი ამბობს, კანონპროექტის მიზანი ბიოუსაფრთხოების ერთიანი სახელმწიფო სისტემის შექმნაა, რომელიც ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებას არეგულირებს.

კანონპროექტის თანახმად, ასეთი პროდუქციის გამოყენება საქმიანობის ლიცენზიას საჭიროებს, ხოლო მისი გარემოში ინტროდუქცია იკრძალება. ხათუნა გოგალაძე აზუსტებს, რომ კანონპროექტის მოქმედება მხოლოდ ცოცხალ გენმოდიფიცირებულ ორგანიზმებიდან წარმოებულ სათესლე და სანერგე მასალაზე ვრცელდება, ხოლო გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს და სამკურნალო საშუალებებს არ ეხება.

ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი გარემოს დაცვის სამინისტროს პროექტს არ ეთანხმება. მას მიაჩნია, რომ გენმოდიფიცირებული ორგანიზმებიდან წარმოებული სათესლე მასალის შემოტანაზე შეზღუდვების დაწესება ადმინისტრირებას გაართულებს.

ეკონომიკის მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ საკანონმდებლო ორგანოს ბევრი შენიშვნა ექნება და კანონპროექტში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევა.

საკუთარი ინფორმაცია

გიორგი მარგველაშვილი: მოქალაქე მერაბიშვილს თავისი უფლებები აქვს

მოქალაქე მერაბიშვილს, ეჭვმიტანილ მერაბიშვილს თავისი უფლებები აქვს, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა.

პრეზიდენტის თქმით, მერაბიშვილის განცხადებაზე პასუხი ნათელია - ყველაფერი უნდა განხორციელდეს, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი და არა საგანგებოდ მერაბიშვილისთვის და არა საგანგებოდ რომელიმე სხვა შემთხვევისთვის.

„მოქალაქე მერაბიშვილს, ამჯერად ეჭვმიტანილ მერაბიშვილს აქვს თავისი უფლებები, როგორც ითვალისწინებს კანონი და ეს უფლებები უნდა იყოს დაცული. შესაბამისად, ეს არის კითხვები არა პოლიტიკოსებთან, არამედ იურისტებთან, რომლებმაც ზუსტად უნდა თქვან, ამ შემთხვევაში რას ითვალისწინებს კანონი. კარგი იქნება, თუ იურიდიული საზოგადოება თავის პოზიციას დააფიქსირებს, ამ კონკრეტული შემთხვევის შესახებ, რას ამბობს ზუსტად კანონი, რისი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა გვაქვს,“ - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისივე თქმით, ნებისმიერ კითხვაზე, რომელიც ჩნდება პოლიტიკური ზეწოლის შესახებ, იქნება ეს მერაბიშვილის თუ უგულავას საქმე, პასუხი ყოველთვის მარტივი და ნათელია, რომ ყველა ადამიანს აქვს თავისი უფლებები და ასევე ვალდებულებები.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ პროკურატურა დააკმაყოფილეებს ყველაზე მაღალ დასავლურ სტანდარტს, რადგან საგანგებო ყურადღება მიექცევა იმ შემთხვევებს, სადაც, ზოგიერთების ვარაუდით, შესაძლოა, პოლიტიკური დევნა იყოს.

IDFI - ირაკლი შიხიაშვილმა 10 თვის განმავლობაში პრემიის სახით 18 684 ლარი მიიღო

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი შიხიაშვილმა 2013 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში პრემიის სახით 18 684 ლარი მიიღო, მისი თანამდებობრივი სარგო კი ყოველთვიურად 3540 ლარია, - აცხადებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ IDFI, რომელმაც საჯარო ინფორმაცია თბილისის საკრებულოდან გამოითხოვა.

საკრებულოდან მიღებული დოკუმენტაციით ირკვევა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეზე მეტი პრემია საკრებულოს წევრებმა ჯაბა სამუშიამ და გიორგი ტყემალაძემ მიიღეს და თითოეულ მათგანს პრემიის სახით 19 095 ლარი ერგო.

იანვარ-ოქტომბერში თბილისის საკრებულოს წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე ერთობლივად გაცემულმა პრემიების საერთო რაოდენობამ 1 707 631 ლარი შეადგინა, საიდანაც საკრებულოს წევრებზე გაცემულია 439 276 ლარი, ხოლო აპარატის თანამშრომლებზე - 1 268 355 ლარი.

IDFI-ის ინფორმაციით, 2013 წლის იანვარ-ივლისის პერიოდში პრემია გაიცემოდა საკრებულოს მხოლოდ 23 წევრზე, ხოლო საკრებულოს ახალი თავმჯდომარის დანიშვნის შემდგომ, აგვისტოდან ოქტომბრის ჩათვლით, ყოველთვიურად პრემია გაიცემოდა საკრებულოს 31 წევრზე. კერძოდ, საკრებულოს წევრებზე პრემიები გაიცემა საკრებულოს თავმჯდომარეზე, მის მოადგილეებზე, მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებზე და ფრაქციების თავმჯდომარეებზე.

საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოები კი ასეთია: საკრებულოს თავმჯდომარე - 3540 ლარი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - 2950 ლარი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - 2850 ლარი, საკრებულოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე - 2 600 ლარი, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე - 2 600 ლარი. რაც შეეხება საკრებულოს სხვა წევრების შრომის ანაზღაურებას, ის განსხვავებული წესით რეგულირდება. მათი ანაზღაურება დამოკიდებულია მათ მიერ შესრულებულ ცალკეულ დავალებებთან და თითოეული წევრის ანაზღაურების ზღვრული მოცულობა თვეში შეადგენს 1 700 ლარს.

IDFI აქვეყნებს ინფორმაციას სამივლინებო ხარჯების შესახებაც. 2013 წლის 1 იანვრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით საკრებულოს წევრების მიერ ქვეყნის გარეთ სამუშაო ვიზიტებისთვის სამივლინებო ხარჯებმა შეადგინა 203 445 ლარი. ყველაზე ძვირადღირებულ ვიზიტს წარმოადგენს 2013 წლის 27 აგვისტოს ირაკლი შიხიაშვილის, გიორგი ტყემალაძის, მერაბ რაფავას და გიორგი მუსხელიშვილის ვიზიტი ჩინეთში - თითოეულ მათგანს საშუალოდ 5640 ლარი გამოეყო. 2013 წლის 21 მაისს შოთა ქურდაძეს, თამაზ შოშიაშვილს, კახა გურულს და გურამ კინწურაშვილს საფრანგეთში სამუშაო ვიზიტისათვის თითოეულს 4 471 ლარი გამოეყო.

„ჩვენ თბილისის საკრებულოდან ასევე მოვითხოვეთ აღნიშნული სამუშაო ვიზიტების დანიშნულება, თუმცა საკრებულომ, სამწუხაროდ, აღნიშნული ინფორმაციის მოწოდებისგან თავი შეიკავა. ამასთან, საკრებულოს მიერ ქვეყნის გარეთ სამუშაო ვიზიტებზე გაწეული ხარჯები არ ჩამოუვარდება სამინისტროების მიერ აღნიშნულ პერიოდში გაწეულ ხარჯებს,“ - ნათქვამია IDFI-ის ინფორმაციაში.

გიგი უგულავა: „რას უნდა ელოდე პროკურატურისგან?“

პირველი გვერდიდან

უნდა ელოდე იმას, რომ პოლიტიკური დევნის იარაღი წინასაარჩევნოდ განსაკუთრებით გააქტიურდება. ყველანაირ სისულელეს ველოდები და ყველანაირი სისულელისთვის მზად ვარ,“ - განაცხადა გიგი უგულავამ.

მისივე თქმით, სამეგრელოშიც მუშაობდა გუბერნატორად და გამორიცხული არ არის, მის წინააღმდეგ საქმე იქაც აღიძრას.

„აბასთუმანში ბავშვობაში ვისვენებდი და მზად ვარ, წავიდე ადიგენის სასამართლოში, თუკი საქმეს აღძრავენ. თელავი ძალიან მიყვარს და მზად ვარ, თელავშიც ვიარო. კიდევ ბევრი ადგილია, სადაც სიამოვნებით წავიდოდი და თუ ამის საშუალებას მომცემს პროკურატურა, ვივლი სასამართლოებში და შემდეგ შევხვდები ხალხს,“ - განაცხადა უგულავამ.

დედაქალაქის მერისთვის ბრალის წარდგენის ფაქტზე გუშინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა კომენტარი გააკეთა.

კუბლაშვილი იმედოვნებს, რომ გიგი უგულავას საქმის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება ობიექტური იქნება.

„ახლა შეფასებას ნამდვილად ვერ გავაკეთებ. ჩვენ უნდა დაველოდოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო; რამდენად სამართლიანად თუ უსამართლოდ ჩათვლის ვინმე, ეს უკვე მათი პირადი სუბიექტური აზრია. ყველა შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება ობიექტური უნდა იყოს და დიდი იმედი მაქვს, რომ სწორედ ასეთი იქნება. სუბიექტური მიდგომა ყველას შეიძლება ჰქონდეს,“ - განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ.

ამერიკას ასადის გადადგომაზე აზრი არ შეუცვლია

ამერიკა კვლავ დარწმუნებულია, რომ სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა თანამდებობა უნდა დატოვოს და რომ მისი ადგილი გარდამავალ მთავრობაში არ არის. «ამ საკითხის შესახებ ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა," - განაცხადა ცოტა ხნის წინ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარი ჰარპმა. მან უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ დასავლეთის ქვეყნები ასადის მიერ თანამდებობის შენარჩუნებას აღარ ეწინააღმდეგებიან, ვინაიდან ხელისუფლებაში რადიკალი ისლამისტების მოსვლა აშინებთ. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, ამერიკა აქტიურად განაგრძობს მზადებას სამშვიდობო კონფერენცია «ჟენევა 2"-სთვის და უახლოეს პერიოდში პარტნიორებთანაც გაივლის კონსულტაციებს. გავრცელებული ინფორმაციით, სირიის შესახებ სამშვიდობო კონფერენცია 2014 წლის იანვარში უნდა გაიმართოს. პარასკევს ჟენევაში ამერიკის, რუსეთისა და გაეროს წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართება, სადაც ამ ფორუმის შესახებ იმსჯელებენ. არსებული ინფორმაციით, ამ კონფერენციის მონაწილეთა სია ამ დრომდე უცნობია.

ერაყი «ჰეზბოლას" შეიარაღებაში დახმარების ბრალდებას უარყოფს

ერაყის აეროპორტები ირანიდან «ჰეზბოლასთვის" შეიარაღების მისაწოდებლად არ გამოიყენება, - აღნიშნულის შესახებ ერაყის პრემიერ-მინისტრ ნური ალ-მალიკის მრჩეველმა ალი ალ-მუსავიმ ერაყულ ტელევიზიას განუცხადა. «ის, რასაც წერენ, რომ ერაყის აეროპორტები ირანიდან «ჰეზბოლასთვის" შეიარაღების მისაწოდებლად გამოიყენება, ცრუ ინფორმაციაა, რომელიც ყოველგვარ აზრს არის მოკლებული. ერაყი ყველა საერთაშორისო შეთანხმებას იცავს," - განაცხადა ალ-მუსავიმ. ოთხშაბათს ქუვეითის გამოცემა «პოლიტიკა" წერდა, რომ თეირანი და დამასკო ერაყის სატრანზიტო ქვეყნად გამოყენებაზე შეთანხმდნენ, რათა ლიბანურ შიიტურ დაჯგუფება «ჰეზბოლას" მებრძოლებს იარაღი მიაწოდონ. ამჯერად ეს ლიბაური შიიტური დაჯგუფება სირიის კონფლიქტში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მხარეს იბრძვის.

ამერიკელი პროკურორი ინდოელი დიპლომატის დაპატიმრებას გამოეხმაურა

მანჰეტენის ფედერალურმა პროკურორმა ბრიტ ბჰარარამ ნიუ-იორკში პოლიციის მიერ ინდოეთის გენერალური კონსულის მოადგილის დევიიანი ხობრაგადას დაკავება გაამართლა. ხობრაგადა გასულ კვირას ვიზებთან დაკავშირებული თაღლითობისა და დამლაგებლის მოტყუების გამო დააკავეს, რომელსაც შეპირებული ხელფასი არ გადაუხადა. დიპლომატმა გარკვეული პერიოდი კამერაში გაატარა, შემდეგ კი 250 000 დოლარის თავდებით გაათავისუფლეს. ოთხშაბათს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ინდოეთის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველ შივშანკარ მენონთან საუბრისას დიპლომატის დაკავების გამო მწუხარება გამოხატა და იმედი გამოთქვა, რომ ეს ინციდენტი ორი ქვეყნის ახლო ურთიერთობაზე გავლენას ვერ მოახდენს.

საბერძნეთის პარლამენტმა «ოქროს განთიადს" დაფინანსება შეუწყვიტა

საბერძნეთის პარლამენტმა ულტრამემარჯვენე პარტია «ოქროს განთიადისთვის" დაფინანსების შეწყვეტას დაუჭირა მხარი. ამ პარტიის ხელმძღვანელს დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნა და ხელმძღვანელობა ბრალდება. 23 ოქტომბერს ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული შესწორება საშუალებას იძლევა, სახელმწიფო დაფინანსება შეუწყდეთ იმ პარტიებს, რომელთა ხელმძღვანელების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება. ახლა ეს კანონი გამოყენებული იქნა კონკრეტული პარტიის მიმართ, რომელსაც საბერძნეთში «ნეონაცისტურ" პარტიასაც უწოდებენ. ხელისუფლება «ოქროს განთიადის" საქმიანობას მას შემდეგ იძიებს, რაც პარტიის წევრებმა ანტიფაშისტი მუსიკოსი მოკლეს. უზენაეს სასამართლოს ამ პარტიის დანაშაულებრივ ორგანიზაციად აღიარების თხოვნითაც მიმართეს. ამ დროისთვის პარტიის ორი ხელმძღვანელია დაპატიმრებული, რამდენიმე დეპუტატს კი ხელშეუხებლობა ჩამოერთვა.

აზერბაიჯანმა და აშშ-მ სამხედრო თანამშრომლობის ვადა გაახანგრძლივეს

«ეხო კავკაზას" ცნობით, აზერბაიჯანმა და ამერიკამ სამხედრო თანამშრომლობის ვადა ხუთი წლით გაახანგრძლივეს. როგორც უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში აზერაიჯანის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, ამ შეთანხმებას ხელი 2003 წელს მოეწერა. ზიიაფეტ ასკეროვის თქმით, შეთანხმებას ვადა ამ თვეში ეწურება და კანონპროექტი მილი მეჯლისის წინაშე ვადის გახანგრძლივებისა და გარკვეული ცვლილებების შესატანად წარადგინეს. დეპუტატებმა კომიტეტის სხდომაზე აღნიშნეს, რომ აღნიშნული შეთანხმების ვადის გახანგრძლივება ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობის მაღალ დონეზე მიუთითებს.

კადიროვის აზრით, უმაროვი დიდი ხნის გარდაცვლილია

ჩეჩნეთის რესპუბლიკის ლიდერ რამზან კადიროვის თქმით, ჩრდილოკავკასიელი შეიარაღებული მებრძოლების ლიდერი დოკუ უმაროვი დიდი ხნის მკვდარია. ადრე კადიროვმა პირობა დადო, რომ უმაროვს სოჭის ოლიმპიადამდე მოკლავდა. «უმაროვი დიდი ხნის მკვდარია. ჩვენ მხოლოდ მის ცხედარს ვეძებთ. უმაროვისგან ჩეჩნეთს საფრთხე აღარ ემუქრება," - განაცხადა კადიროვმა. ადრე დოკუ უმაროვის ვიდეომიმართვა გავრცელდა, რომელშიც იგი 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიადის ჩაშლით იმუქრება.

მოამზადა თამთა კახაძემ

პუტინი: ხოდორკოვსკის მალე შევიწყალებ

ივა შილაკაძე
თამთა კახაძე

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა გუშინ ყოველწლიური დიდი პრესკონფერენცია ჩაატარა, რომელზეც ტრადიციულად ბევრ კითხვას უპასუხა. კითხვები როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ თემებს ეხებოდა. პუტინის მსგავს პრესკონფერენციებს ჩვენ ტრადიციულად დიდი ყურადღებას არ ვუთმობდით, თუ მისი მსვლელობის დროს რამე სერიოზული სიახლე არ გაჟღერფებოდა. ამჯერად მიგვაჩნია, რომ სწორედ ასთი შემთხვევაა.

მთავარი, რაზეც გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ, მისი დამოკიდებულების ცვლილებაა ექს-ოლიგარქ მიხაილ ხოდორკოვსკის მიმართ, რომელსაც რუსული და საერთაშორისო მედია, არცთუ უსაფუძვლოდ, პუტინის პირად პატიმარს უწოდებდა. რუსეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ხოდორკოვსკიმ შეწყალების შესახებ თხოვნა დაწერა, რასაც ადრე არ აკეთებდა და ამ თხოვნის დაკმაყოფილებას აპირებს.

«მიხეილ ბორისის ძეს კანონის შესაბამისად უნდა დაეწერა სპეციალური წერილი, ის ამას არ აკეთებდა. მაგრამ სულ ახლახან მან ასეთი წერილი დაწერა და შეწყალების თხოვნით მომმართა," - თქვა პუტინმა და დასძინა, რომ ეს თხოვნა დაკმაყოფილდება.

ნავთობკომპანია «იუკოსის» მფლობელი, მაშინ რუსეთის უმდიდრესი ადამიანი მიხაილ ხოდორკოვსკი 2003 წელს ნოვოსიბირსკის აეროპორტში, მისი კომპანიის თვითმფრინავის დაჯდომისთანავე დააპატიმრეს. 2005 წელს ის თაღლითობასა და სხვა დანაშაულებში დამნაშავედ ცნეს, 2010 წელს მეორე განაჩენიც გამოუტანეს შემოსავლის ლეგალიზაციისთვის. შემდეგ ზედა ინსტანციების სასამართლოებმა მას და მის პარტნიორ ლებედევს განაჩენი ნაწილობრივ შეუმსუბუქეს. «24 საათი" წლების განმავლობაში დაწვრილებით აშუქებდა ხოდორკოვსკის მთელს მსოფლიოში გახმაურებულ საქმეს და მისი არსი ჩვენი მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი.

რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა, ამას გარდა, განაცხადა, რომ «ხოდორკოვსკიმ საპატიმროებში უკვე 10 წელი-წადზე მეტი გაატარა, რაც სერიოზული სასჯელია. ის თავის თხოვნას ჰუმანიტარული გარემოებებით ასაბუთებს, მას დედა ჰყავს ავად და მიმაჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღება შეიძლება. უახლოეს პერიოდში ხელს მოვაწერ ბრძანებას შეწყალების შესახებ». პუტინმა პრესკონფერენციაზე ისიც განაცხადა, რომ არაპერსპექტიულად მიაჩნია ე.წ. «იუკოსის მესამე საქმე", რომლის შესახებაც რუსულმა მედიამ ამ ბოლო დროს დაიწყო წერა. ამას გარდა, პუტინმა ამ საქმისგან დისტანცირებაც სცადა. თქვა, რომ ეს არის იმ ადამიანის აზრი, რომელიც დეტალებში არ ერევა და საქმეს «გარედან» უყურებს.

ხოდორკოვსკი დანაშაულს არასდროს აღიარებდა. მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს კი «პოლიტიკურად და კორუფციულად მოტივირებულს» უწოდებდა.

პუტინს კითხვა დაუსვეს მემკვიდრეებზეც და მან თქვა, რომ ამაზე ვერ უპასუხებს, რადგან სათქმელი არაფერი აქვს - ანუ არ იცის, ვინ შეიძლება იყოს მისი შემცვლელი. როდესაც კითხვა შემოუტრიალეს და სთხოვეს, ეთქვა, ვინ არის ქვეყანაში პოლიტიკოსი ნომერი ორი, მან რამდენიმე გვარი დაასახელა. მათ შორის იყო დმიტრი მედვედევიც, ოღონდ რიგით მეოთხე. პუტინმა პოლიტიკოსები ასეთი თანმიმდევრობით ჩამოთვალა: ზიუგანოვი (ამას აპლოდისმენტები მოჰყვა), ჟირინოვსკი, მირონოვი და მედვედევი.

პუტინს, ცხადია, უკრაინასთან ორი დღის წინ გაფორმებული ხელშეკრულების შესახებაც ჰკითხეს, თუმცა ამ თემაზე ამავე ნომერში გამოქვეყნებულ მეორე სტატიაში ვისაუბრებთ.

პუტინი საერთაშორისო საზოგადობისთვის საინტერესო რამდენიმე სხვა საკითხსაც შეეხო, მათ შორის კალინინგრადის ოლქში რაკეტების განლაგების და აშშ-დან გაქცეული და დევნილი აგენტის სნოუდენის თემებსაც.

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, მოსკოვს ჯერ არ გადაუწყვეტია, კალინინგრადში, ნატოს წევრი ქვეყნების მეზობლად, განლაგოს თუ არა ისკანდერის ტიპის რაკეტები. ნატოს წევრმა ქვეყნებმა ცოტა ხნის წინ შეშფოთება გამოთქვეს გავრცელებული ინფორმაციის გამო, რომელიც კალინინგრადში რაკეტების გათავსებას ეხებოდა.

ყოველწლიურ კონფერენციაზე გამოსვლისას პუტინმა აღნიშნა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემა, რომლის განლაგებასაც ამერიკა ევროპაში გეგმავს, რუსეთისთვის საფრთხეს წარმოადგენს, რაზეც რუსეთს პასუხი უნდა ჰქონდეს: «ერთ-ერთი ასეთი პასუხია კალინინგრადში ისკანდერების კომპლექსების დაყენება... თუმცა, მინდა, ისინი დავამშვიდო - აღნიშნულის შესახებ ჩვენ ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია," - თქვა პუტინმა.

პრეზიდენტი პუტინი ამტკიცებს, რომ რუსეთს არ უცდია, რუსეთის მიმართულებით ამერიკის სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის დეტალების შესახებ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილი თანამშრომლის ედუარდ სნოუდენისგან მიღო ინფორმაცია. «ჩვენ სნოუდენთან არ ვმუშაობთ და არც არასდროს გვიმუშავია. ჩვენ არასდროს მიგვიმართავს მისთვის შეკითხვებით, რათა ჩვენთვის გაემჟღავნებინა რუსეთის მიმართულებით ამერიკის სადაზვერვო სამსახურების საქმიანობა," - აღნიშნა პრეზიდენტმა. ეს განცხადება რუსეთის პრეზიდენტისგან, რომელიც თვითონ არის სპეცსამსახურების წარმომადგენელი, იმდენად ანომალიურად ჟღერს, რომ უფლებას ვიტოვებთ, მასში სერიოზული ეჭვი შევიტანოთ. 30 წლის ედუარდ სნოუდენს, რომელმაც ამერიკის სადაზვერვო სამსახურების საიდუმლო პროგრამები გამოამჟღავნა, რუსეთმა დროებითი თავშესაფარი 2013 წლის აგვისტოში მიანიჭა.

იანუკოვიჩი ისევ ორ სკამზე ჯდომას ცდილობს

ივა შილაკაძე

უკვე ორი დღე გავიდა რუსეთსა და უკრაინას შორის დოკუმენტების პაკეტის ხელმოწერიდან, რამაც, ოფიციალურ კიევს დეფოლტი და სერიოზული ეკონომიკური კრიზისი ააცილა თავიდან. თუმცა დღემდე ზუსტად არავინ იცის რის სანაცვლოდ მიიღო უკრაინამ გაზის ფასის დაკლება და 15 მილიარდი დოლარი. გარიგებას სერიოზული ეჭვით უყურებს უკრაინის ოპოზიციაც და დასავლეთიც. პრეზიდენტი იანუკოვიჩი და პრემიერი აზაროვი კი მოსკოვთან დადებულ ხელშეკრულებას გადარჩენად აღიქვამენ და აცხადებენ, რომ ხელმოწერილი დოკუმენტები ქვეყნის ევროინტეგრაციას არ ეწინააღმდეგება. ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რუსული დახმარება უკრაინას მხოლოდ ორიოდე წლით შეუნარჩუნებს არსებულ მყიფე მდგომარეობას, შემდეგ კი კრიზისი ისევ იჩენს თავს.

18 დეკემბრის ნომერში ჩვენ უკვე ვწერდით, რომ გაზის ფასი „დროებით" დაიკლებს დაახლოებით მესამედით, 400-ზე მეტი დოლარიდან 268,5 დოლარამდე ათასი კუბური მეტრისთვის. 17-ში პუტინს არ დაუზუსტებია რა პერიოდზეა საუბარი, თუმცა შემდეგ უკრაინის ვიცე-პრემიერმა იური ბოიკომ განაცხადა, რომ გაზის ფასი დაიკლებს 2014 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის ბოლომდე, ანუ ტიმოშენკო-პუტინის მიერ 2008 წელს ხელმოწერილი ათწლიანი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე. გუშინ დიდ პრესკონფერენციაზე პუტინმა განაცხადა, რომ უკრაინისთვისაც, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებისთვის ბუნებრივი აირის ფასი სპეციალური ფორმულით გამოითვლება, თუმცა დეტალებზე აღარ ულაპარაკია. რუსეთის კეთილდღეობის ფონდიდან (სტაბილიზაციის ფონდის ნაწილი) გამოყოფილი ფულით რუსეთი შეიძენს უკრაინის ფასიან ქაღალდებს. უკვე ამ კვირაში გამოიყოფა 3 მილიარდი დოლარი ირლანდიის ბირჟაზე განთავსებული ამ ობლიგაციების საყიდლად. რუსეთის ფინასთა მინისტრის ანტონ სილუანოვის სიტყვებით ეს თანხა უკრაინას თავისუფლად ეყოფა ამ წლის ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად. თავად რუსეთში ბევრი ეკონომისტი აკრიტიკებს სტაბილიზაციის ფონდიდან (ფაქტობრივად რუსეთის ბიუჯეტიდან) ასეთ არამყარ ფასიან ქაღალდებში ფულის დაბანდებას და მისი აზრის გამოცნობას ცდილობს, თუმცა ეს ცალკე სტატიის თემაა.

უკრაინის ოპოზიცია და „ევრომაიდანი", რბილად რომ ვთქვათ, ზედმეტი ენთუზიაზმის გარეშე შეხვდა გაზის ფასის დაკლებას და ფაქტობრივად „ნაჩუქარ" 15 მილიარდ დოლარს. 17 დეკემბრის საღამოსვე ოპოზიციის ლიდერებმა არსენი იაცენიუკმა, ვიტალი კლიჩკომ და ოლეგ ტიაგნიბოკმა განაცხადეს, რომ მათ პირველ რიგში აინტერესებთ სანაცვლოდ რას შეპირდა უკრაინის მოქმედი ხელისუფლება პუტინს. იაცენიუკის სიტყვებით უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია და შესაბამისად იანუკოვიჩს ამ დახმარებაში პოლიტიკური ან სტრატეგიულ ეკონომიკური ფასის გადახდა მოუწევს. ექსპერტების აზრით ეს შეიძლება ისევ იყოს უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემა, რაც რუსეთს დიდი ხანია აინტერესებს. მითუმეტეს ახლა, როცა ჩრდილოეთის ნაკადი სრული დატვირთვით ჯერ ვერ ამოქმედდება, ხოლო სამხრეთ ნაკადის აგება უკვე ეჭვქვეშ დგას.

იაცენიუკი ამტკიცებს, რომ რადაში რატიფიკაციას ვერ გაივლის ვერცერთი ხელშეკრულება, რომელიც უკრაინის ევროინტეგრაციას შეუშლის ხელს. აქვე ვიტყვით, რომ ოპოზიციამ ტრადიციული ბლოკირებით 18 დეკემბერს კვლავ ჩააგდო რადას სხდომა. იაცენიუკმა განაცხადა, რომ პარლამენტში უკვე შეგროვებულია 217 ხელმოწერა მთავრობის გადასაყენებლად და საჭიროა მხოლოდ 9 (ეს კი უცბად გაკეთდება ოლიგარქების ოპოზიციისკენ გადმოხრის შემთხვევაში, რაც გამორიცხული სულაც არ არის, ამის ნიშნები უკვე გამოჩნდა). ოლეგ ტიაგნიბოკმა იანუკოვიჩს პირდაპირ დასდო ბრალი უკრაინის ინტერესების რუსეთისთვის მიყიდვაში და გაიხსენა ბისმარკის სიტყვები, რომ რუსეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებას იმაზე ნაკლები ფასი აქვს, ვიდრე იმ ქაღალდს, რომელზეც ის არის დაწერილი. ვიტალი კლიჩკომ კი თქვა, რომ გამოსავალი მხოლოდ რიგგარეშე არჩევნებშია. მან იანუკოვიჩს გაახსენა მისივე სიტყვები, რომ ვადამდელი არჩევნების არ ეშინია და ამ „რინგზე" მიიწვია.

უკრაინის პრემიერმა აზაროვმა მთავრობის სხდომაზე 18 დეკემბერს რუსეთთან ხელმოწერილ ხელშეკრულებას ისტორიული უწოდა. მან განაცხადა, რომ ამან უკრაინა გადაარჩინა გაკოტრებას და სოციალურ კლაფსს, რაც ახალი წლისთვის ელოდათ. ახლა კი მათ არაფერი ემუქრებათ და შეინარჩუნებენ სოციალურ და ფინანსურ-ეკონომიკურ სტაბილურობას.

გუშინ ეთერში გავიდა პრეზიდენტ იანუკოვიჩის ვრცელი ტელეინტერვიუ, რომელშიც უკრაინის პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ რუსეთთან ხელმოწერილი დოკუმენტები უკრაინის ევროინტეგრაციას ხელს არ უშლის. მან თქვა, რომ დოკუმენტებს სრულად გააცნობს მედიას და საზოგადოებას ამაში დასარწმუნებლად. იანუკოვიჩმა ისიც თქვა, რომ ისინი მაინც შეისწავლიან საბაჟო კავშირის წესდებას და სხვა შიდა ხელშეკრულებებს იმის გადასაწყვეტად, თუ რომელს შეიძლება მიუერთდნენ (ჯერჯერობით უკრაინა საბაჟო კავშირის არცერთ შიდა ხელშეკრულებას არ მიერთებია). მან პირობა დადო, რომ ესეც გაკეთდება გამჭვირვალედ და ევროინტეგრაციული კურსის დაუზიანებლად. მან ისევ ილაპარაკა იმაზე, რომ ამ დღეში უკრაინა იულია ტიმოშენკოს პრემიერობის დროს ხელმოწერილმა რიგმა დოკუმენტებმა ჩააგდო, გაზს კი უკრაინია ისევ იყიდის რუსეთისგან ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსგან და პრიორიტეტი ფასი იქნება.

იანუკოვიჩმა «ევრომაიდანის» დარბევის შესახებ განაცხადა, რომ არ თუ იცის ვინ გასცა მაშინ ასეთი ბრძანება, ეს თვითონაც აინტერესებს და ამ ფაქტით აღშფოთებულია.

დასავლეთი ჯერ უნდობლად უყურებს უკრაინის მიერ რუსეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს. მათთვის ამ დროისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციით 14 დოკუმენტისგან შემდგარ პაკეტში საშიში არაფერია, თუმცა ისინი ჯერ უკეთესად უნდა შეისწავლონ. ამას გარდა დასავლურ პრესაში იწერება, რომ ევროკავშირის შიდა დოკუმენტების თანახმად უკრაინას ჰქონდა სამი წლის განმავლობაში ევროპისა და მსოფლიო სავალუტო ფონდისგან 19 მილიარდი ევროს მიღების რეალური შანსი (ანუ დაახლოებინი იმ თანხის, რასაც ითხოვდა), ოღონდ უფრო მძიმე პირობებით. მაშინ უკრაინას უნდა განეხორციელებინა მაკროეკონომიკური რეფოემები, რაც მძიმეა იანუკოვიჩისთვის ამ ეტაპზე, მაგრამ კარგია პერსპექტივისთვის.

უფრო ვრცელ სტატიას ამავე თემაზე გთავაზობთ «24 საათის» ყოველკვირეულ დამატება «Weekend»-ში, რომელიც ასევე პარასკევს გამოდის.

ოქროს დათვის მაძიებლები

პირველი გვერდიდან

პირველ რიგში გაუწყებთ, რომ ბევრის მოლოდინი არ გამართლდა და ჯორჯ კლუნის „სიძველეთა მცველები“ (The Monuments Men) კონკურსის მიღმა აღმოჩნდა. კლუნის ფილმის გმირები მეორე მსოფლიო ომში ჩაბმული ხელოვნებათმცოდნეები, არტკურატორები და მუზეუმების დირექტორები არიან, რომლებსაც მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებთ - ბრძოლის ველად ქცეული ევროპის მუზეუმებიდან ნაცისტების მიერ მოპარული და გადამალული ხელოვნების ნიუშები გადაარჩინონ და კანონიერ მფლობელებს დაუბრუნონ. ამ საიდუმლო ჯგუფში სულ შვიდი წევრია, მათ როლებს კი თავად ჯორჯ კლუნი, ბილ მიურეი, მეტ დეიმონი, ჯონ გუდმენი, კეიტ ბლანშეტი, ჟან დუჟარდენი და ბობ ბალაბანი ასრულებენ. საინტერესოა, რომ ფილმი ნამდვილ ამბავს ეფუძნება და რეალურად არსებული გმირების შესახებ მოგვითხრობს.

კლუნის ფილმისგან განსხვავებით, როგორც გითხარით, საკონკურსო პროგრამაში მოხვდა ფესტივალის გამხსნელი ფილმი „გრანდ ოტელ „ბუდაპეშტი“ - უეს ანდერსონის მორიგი კინოზღაპარი, რომელშიც რეჟისორი ტრადიციულად ვარსკვლავურ ქასთს წარმოგვიდგენს: რალფ ფაინსი, ედუარდ ნორტონი, საორის რონანი, ლეა სეიდუ, ოუენ უილსონი, ბილ მიურეი, ტომ უილკინსონი, მატიე ამალრიკი, ჯეფ გოლდბლუმი, ჰარვი კეიტელი და სხვები. ფილმის ცენტრალური ფიგურაა რალფ ფაინსის გმირი მისტერ გუსტავი - „ბუდაპეშტის“ მმართველი, რომელიც ერთ-ერთი მუდმივი სტუმრის გარდაცვალების გამო დიდ ხათაბალაში აღმოჩნდება.

ანდერსონის ფილმის ერთ-ერთი კონკურენტი იქნება ბრიტანული „71“, დიდ კინოში დებიუტანტი იან დემანჯის ნამუშევარი. ფილმის მოქმედება ბელფასტში, ყველაზე ცხელ 1971 წელს ვითარდება, როდესაც ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქში ბრტანელი ჯარისკაცებისა და ირლანდიელი ამბოხებულების სასტიკი დაპირისპირებები მიმდინარეობდა. ფილმის ცენტრალური ფიგურა საკუთარ დანაყოფს ჩამორჩენილი და ბელფასტის ქუჩებში მარტო დარჩენილი ინგლისელი ჯარისკაცია - ეს პატარა ანოტაცია კი უკვე აჩენს ფილმისადმი ინტერესს.

2009 წლის ოქროს დათვის მფლობელი კლაუდია ლოსას ფილმია კიდევ ერთი საკონკურსო „მაღლა“. ოთხი წლის წინ პერუელმა რეჟისორმა ბერლინალეს მთავარი ჯილდო „მწუხარების რძისთვის“ დაიმსახურა (მოგვიანებით ეს ფილმი „ოსკარზეც“ იყო ნომინირებული), ახლა კი ამავე წარმატების მიღწევას ამერიკული საოჯახო დრამით შეეცდება. ფილმი დედისა და შვილის (მათ როლებს ჯენიფერ კონელი და კილიან მერფი თამაშობენ) დაძაბული ურთიერთობის თემას ეხმიანება, რისი მიზეზიც წლების წინ მომხდარი ამბავია.

საკონკურსო პროგრამაში ასევე მოხვდა ფრანგული „რაილის ცხოვრება“ (ორიგინალში Aimer, boire et chanter), რომლის რეჟოსრიც ფრანგული კინოს ძველი თაობის წარმომადგენელი ალან რენეა. კონკურსანტთა შორისაა ასევე გერმანული „საყვარელი დები“ (რეჟისორი დომინიკ გრაფი) და ბერძენი იანის ეკონომიდესის „სტრატოსი“.

ასევე ცნობილია ბერლინალეს სპეციალური ჩვენების სექციაში მოხვედრილი რამდენიმე ფილმიც: პასკალ შომეილის ბრიტანული „გრძელი გზა ქვემოთ“, ჰუბერტ სოპერის დოკუმენტური ფილმი „ჩვენ კეთილი სურვილით მოვედით“ (საფრანგეთი-ავსტრია), ასევე დოკუმენტური, თუმცა ამჯერად ამერიკული „გალაპაგოს საქმე: სატანა ედემში მოვიდა“ და ავსტრალიელი მწერლის, ტიმ უინტონის მოთხრობების მიხედვით გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმების ნაკრები „მოსახვევი“, რომელსაც ათზე მეტი რეჟისორი ჰყავს და კეიტ ბლანშეტი, ჰუგო უივინგი, მირანდა ოტო და სხვები თამაშობენ.

ბერლინის 2014 წლის კინოფესტივალის შესახებ, რომელიც 6-დან 16 თებერვლის ჩათვლით გაიმართება, კიდევ ის გახლავთ ცნობილი, რომ 1920 წელს რობერტ ვინეს მიერ გადაღებული კლასიკური უხმო ფილმის, „დოქტორ კალიგარის კაბინეტის“ განახლებული ვერსიის საზეიმო ჩვენება შედგება; ბერლინალეს საპატიო ჯილდოს ბრიტანელ რეჟისორ კენ ლოუჩს გადასცემენ, ასევე გაიმართება 1915-1950 წლებში გადაღებული იმ ფილმების ჩვენება, რომლებშიც განსაკუთრებულ როლს განათება და ჩრდილები თამაშობს. ამ სექციაში ევროპული, ამერიკული და იაპონური ფილმები იქნება წარმოდგენილი.

ჯერჯერობით ცნობილი არაა თუ ვინ იქნება ჟიურის შემადგენლობაში, შარშანდელმა ჟიუიმ კი, რომელსაც ვონგ კარ ვაი ხელმძღვანელობდა, უპირატესობა რუმინულ „ბავშვის პოზას“ მიანიჭა, რომლის ნახვის საშუალებაც წლევანდელი თბილისის კინოფესტივალის მაყურებელსაც ჰქონდა.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის ახალი სტატუსი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, 2013 წლის 8 ნოემბერს, არჩეულ იქნა ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის აქტიურ წევრად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ამ ინფორმაციას ოფიციალური წერილით, ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის (მდებარე ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში) პრეზიდენტი, პროფესორი ფელიქს იუნგერი ატყობინებს საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემია, რომელიც ტრანსნაციონალური, ინტერდისციპლინარული დაწესებულებაა, აქტიურად ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ევროპის აღმშენებლობაში. ამ აკადემიის 1500 წევრს შორის, 29 ნობელის პრემიის ლაურეატია; 1992 წელს აკადემიის წევრებს კარდინალის რანგში, რომის პაპი - ბენედიქტ XVI შეუერთდა. ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემია კურირებს მეცნიერების ისეთ დარგებს, როგორიცაა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მედიცინა, საზოგადოებრივი მეცნიერებები (იურისპრუდენცია, ეკონომიკა, ტექნიკური მეცნიერებები, გარემოს დაცვა), რელიგია და ხელოვნება.

ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის პრიორიტეტული პროექტებია - „რეგიონური ჯანდაცვა“, „რელიგიათშორისი დიალოგი“, „ქარტია ტოლერანტობის შესახებ“, „მანიფესტი მეცნიერებათა თავისუფლების შესახებ“ და „ევროპის მანიფესტი“. Gგარდა ამისა, ოფიციალურ წერილში, ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის პრეზიდენტი - პროფესორი ფელიქს იუნგერი იმედოვნებს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე, ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის უნივერსიტეტითაც („ალმა-მატერ ევროპეა“) დაინტერესდება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის გიორგი კვესიტაძის, როგორც ევროპის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის ახალი წევრის ინაუგურაცია, შედგება - 2014 წლის 8 მარტს, ქალაქ ზალცბურგში.

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028309

შემსყიდველი	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
ტენდერის გამოცხადების თარიღი	19.12.2013 15:38
წინადადებების მიღება იწყება	05.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	10.01.2014 14:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	335170 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	1350 ლარი
გარანტიის ოდენობა	3352 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028259

შემსყიდველი	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	18.12.2013 19:25
წინადადებების მიღება იწყება	04.01.2014 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	09.01.2014 15:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	87000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	33100000-სამედიცინო მოწყობილობები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	იხ.სატენდერო დოკუმენტაცია
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	500 ლარი
გარანტიის ოდენობა	870 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028122

შემსყიდველი	სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	18.12.2013 11:48
წინადადებების მიღება იწყება	23.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	25.12.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	6851 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	30100000-საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	30100000-საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა, 30125100-ტონერიანი კარტრიჯები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობები.
მოწოდების ვადა	სასურველი ვადა: ეტაპობრივად (საჭიროების მიხედვით 2014 წლის განმავლობაში) შემსყიდველის წერილობითი შეკვეთის მიღებიდან 30 კალენდარული დღე.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	100 ლარი
გარანტიის ოდენობა	69 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028263

შემსყიდველი	შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი”
ტენდერის გამოცხადების თარიღი	18.12.2013 20:00
წინადადებების მიღება იწყება	23.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	25.12.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	34000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გარეშე
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	90700000-მომსახურებები ეკოლოგიის სფეროში
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	90711000-გარემოზე ზემოქმედების შეფასება/ეკოლოგიური ექსპერტიზა, მშენებლობის სფეროს გარდა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	12 თვე
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლი
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	340 ლარი
გარანტიის ოდენობა	340 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028127

შემსყიდველი	საქართველოს ეროვნული არქივი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	18.12.2013 12:34
წინადადებების მიღება იწყება	25.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	27.12.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	35562 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	50100000-სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ ტექნიკური დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	400 ლარი
გარანტიის ოდენობა	356 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028260

შემსყიდველი	შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა
ტენდერის გამოცხადების თარიღი	18.12.2013 19:27
წინადადებების მიღება იწყება	23.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	25.12.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	41400 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	98300000-სხვადასხვა მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	98300000-სხვადასხვა მომსახურება, 98310000-რეცხვა და ქიმწმენდა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	31,12,2014
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	170 ლარი
გარანტიის ოდენობა	414 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028109

შემსყიდველი	მარნეულის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება კულტურის ცენტრი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	17.12.2013 22:25
წინადადებების მიღება იწყება	20.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	24.12.2013 14:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	35000 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	31500000-გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	31500000-გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	35000
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების დადებიდან სამი კვირის განმავლობაშიბის
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	350 ლარი
გარანტიის ოდენობა	350 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130028262

შემსყიდველი	ახალციხის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	18.12.2013 19:55
წინადადებების მიღება იწყება	23.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	25.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	79542 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	55500000-სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	55500000-სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხ. სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	500 ლარი
გარანტიის ოდენობა	795 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

დაიძინე, თორემ ჯინობილი მოვა

ზურა თალაკვაძე

„სან ანტონიო სპერსის“ ასაკი ასაკშია. ტიმ დანკანი მალე სავარძელში ჩაგორდება და ბავშვებთან გაერთობა, შაკზე ზღაპრებს მოუყვება. გრეგ პოპოვიჩი ტიმის წასვლის შემდეგ, ინერციით, ოთხ-ხუთ სეზონს იმუშავებს მწვრთნელად და მერე ალბათ დანკანის პატარების მომვლელი გახდება. მეტ ბონერი კარგი მზარეული იქნება და თუ მანამდე ტონი პარკერიც დაასრულებს კარიერას, ფრანგი ბავშვებს გაართობს. „სან ანტონიო“ დანკანს ბევრი ნაყოფიერი სეზონისთვის მადლობას გადაუხდის. ტიმიმ ეს დაიმსახურა. „სან ანტონიოც“ დაისვენებს და დაიწყება კლუბის ახალი ეპოქა. ტიმის გარეშე და ახალ ლიდერებთან ერთად, როდესაც ეს ახალი ლიდერები წამოვლენ. მანამდე „სპერსმა“ მოსაგები უნდა მოიგოს და გუნდმა ეს წელსვე უნდა გააკეთოს. მერე გვიან იქნება. „სან ანტონიო“ კლასია და „სან ანტონიოს“ პულსი არის ემანუელ ჯინობილი. არგენტინიდან.

ბოლო თამაში. „ფინიქსთან“. თავმოყვარე, სწრაფი გუნდი არიზონული პასპორტით და ჭრელი, ბევრეროვნებიანი კალათბურთით. აქ არის ერიკ ბლედსოუს ქუჩის კალათბურთი. აქ არის გორან დრაგიჩის ევროკლასი. აქ არის ჩეინინგ ფრაის ლამაზი მოძრაობა პერიმეტრზე და ფრაი პერიმეტრზე არ უნდა მოძრაობდეს. ბიჭი ცენტრია, მაგრამ სამიანებს პატარებზე კარგად ასრულებს. „ფინიქსს“ „სან ანტონიოსთან“ თამაში უყვარს. უგებს ხოლმე. ძირითადად, აგებს, მაგრამ „ფინიქსმა“ იცის „სპერსის“ წინააღმდეგ ენერგიის გადანაწილება და ბოლო წამებამდე მაგარი ამბებია ხოლმე. ამ თამაშშიც მაგარი ამბები იყო. „ფინიქსმა“ კარგად დაიწყო, პირველ მეოთხედში ათ ქულამდე წაიყვანა და შემდეგ გაჩერდა. „ფინიქსი“ სოლიდური კლუბია და თუ ფლეი ოფში შევა, უინტერესო არ იქნება. იქ უცებ დაამშვიდებენ, მაგრამ „ფინიქსი“ საქმეს უკვე აკეთებს. ამ შემადგენლობით რეგულარულის პირველი 24 გარჩევიდან თოთხმეტის მოგება უკვე ბონუსია. „სან ანტონიოსთან“ „სანზი“ ახლოს იყო მოგებასთან. შემდეგ დაიწყო ბოლო მეოთხედი, მოედანზე დაბრუნდა ჯინობილი და ყველაფერი გააფუჭა.

ემანუელ ჯინობილიმ „ფინიქსთან“ 24 ქულა დააგროვა

ან მოაწესრიგა. გააჩნია, ვისი გულშემატკივარი ხართ. თუ „ფინიქსის“, მანუ ცუდი ბიჭია. თუ პენსიონერების, მაშინ ჯიობილი თქვენი კაცია. თუ ნეიტრალური, არგენტინელი მაინც თქვენი კაცია. ჯინობილიმ ბევრი გააკეთა კალათბურთისთვის, ჯინობილიმ ბევრი გააკეთა „სან ანტონიოსთვის“, ჯინობილიმ ბევრი გააკეთა არგენტინის ნაკრებისთვის და მანუ ცოტა გიჟია. ამ სიგიჟემ არგენტინელს კარიერაში დიდი კუში მოახსნევინა. ჯინობილი გახდა 2004 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი და მანუ იმ ტურნირის საუკეთესო მოთამაშე, ბონო იყო. ამერიკული გარჩევების სამგზის ჩემპიონი. არგენტინელი ამ გენერაციის მეჯიქ ჯონსონია. სხვა ქვეყნიდან. სხვა კალათბურთით, მაგრამ მანუც ჯადოქარია. ჯინობილი იწყებს შესვლას და სუნთქვა გეკვრება. მანუ აკეთებს პირველ ნაბიჯს და პოპოვიჩი პერანგზე ბოლო ღილს იხსნის. გრეგს ჰაერი არ ჰყოფნის. მანუ მოსნტრია. „ფინიქსთან“ ჯინობილიმ ბოლო მეოთხედში 11 ქულა დააგროვა. „სან ანტონიომ“ დაქაჩა თამაში და „სანზს“ მოუგო. ლამაზი იყო. „ფინიქსმა“ ცუდად ითამაშა მანუს წინააღმდეგ და ჯინობილი შეუდარებელი იყო. კალათბურთის არგენტინელი ვაგნერი.

ბოლო მეოთხედში მანუ ასრულებდა, დანკანი მოსახსნელს ხსნიდა და ჯინობილი იყო ჯოკერი. „სან ანტონიომ“ გაათანაბრა ანგარიში, ჯინობილის სამიანით 98:95 წაიყვანა და „ფინიქსი“ დაიღალა. „სან ანტონიო“ ფანტაზიით, აგრესიით, შენახული ენერგით და არგენტინელის შარმით, მისი გამოცდილებით თამაშობდა. „ფინიქსს“ ჰყავდა ფრაი, დრაგიჩი და ბლედსოუ, რომელმაც ბოლო მეოთხედში რვა სროლიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა. ბლედსოუ არ ჩანდა. „სან ანტონიოში“ არ ჩანდა ტონი პარკერი, რომელმაც ალბათ შემდეგი ტრენინგიც უნდა გამოტოვოს. ფრანგი ტკივილმა შეაწუხა. არგენტინელმა იპარკერა. სადღაც ვიღაცას ბურთი გაატანა. სადღაც ვიღაცას ბურთი გაუჩერა. სადღაც ვიღაცას ბურთი მოჰპარა და ჯინობილიმ საქმე გააკეთა. მანუ იყო ჯადოქარი. მანუმ „სან ანტონიო“ გადაარჩინა. უკვე მერამდენედ გადაარჩინა. „სან ანტონიოში“ ამას შეჩვეულები არიან. „ფინიქსში“ ეს ახსოვთ. მანუ კარგი ბიჭია.

ჯინობილი „ფინიქსთან“ - 27 წუთი, 24 ქულა, 7 შედეგიანი გადაცემა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა. მანუმ 5 შეცდომა დაუშვა, მაგრამ თან თუ პარკერობ და პარკერი არ ხარ, შეცდომები იქნება. ჯინობილიმ ეს შეცდომები გენიალური კალათბურთით გადაფარა. როგორც იცის, ისე გადაფარა და გრეგ პოპოვიჩმა მანუს მადლობა გადაუხადა. მანუმ ეს მადლობა დაიმსახურა. ერთადერთი წაგებული მთელ ამ ამბავში იყო ბუნჩულა „ფინიქსი“. ფრაიმ მანუზე ისაუბრა.

„ჯინობილი ჩვენი კოშმარია. მისი ეს მოძრაობები ტრილიონჯერ მაქვს ნანახი. ყველამ იცის, რის გაკეთებას აპირებს მანუ და ყველამ იცის, რომ მანუ ამას მაინც გააკეთებს. ის გაწვება, არ აგდებს ტემპს და ჯინობილი კლასია. მეგონა, რომ მისი ასაკის მოთამაშე ბოლოს მაინც დაიღლებოდა. ვცდებოდი. ის გენიალური იყო“, - თქვა ფრაიმ. ფრაი მართალია.

ემანუელ ჯინობილი ფლეი ოფისთვის მოემზადება. ჩვენც ფლეი ოფისთვის მოვემზადებით. სადაც „სან ანტონიო“ კიდევ ერთხელ უნდა გავიდეს კონფერენციის ფინალში და იქ უკვე დიდი ჩეხვაა მოსალოდნელი. გააჩნია, ვისთან და გააჩნია, ის, მეორე გუნდი რამდენად დასვენებული იქნება. „სან ანტონიოს“ აქვს შესასრულებელი მისია და ეს მისია სუპერფინალში დაბრუნებაა. შარშან მანუმ იქ ბევრი რამ გააფუჭა. ჯინობილი რეაბილიტაციას იწყებს.

არგენტინელი დაისვენებს.

არგენტინელი სხვებს დაასვენებს.

და დაიწყება კიდევ ერთი სერიალი მანუს, ტონის და ტიმის მონაწილეობით. ჩაუჯექით. თურქულ სერიალებს ნამდვლიად ჯობს.

და მანუ მაინც გიჟია.

ჯინობილიზე კიდევ ერთ წერილს შემდეგ „ვიქენდში“ გაჩუქებთ. დროებით გემშვიდობებით.

შერმადინი, სანიკიძე და „სარაგოსა“ ევროთასის მეორე ეტაპზე არიან

გიორგი შერმადინისა და ვიქტორ სანიკიძის „სარაგოსამ“ ევროთასის მეორე ეტაპზე თამაშის უფლება ბოლოსწინა ტურშივე მოიპოვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უმოტივაციოდ დარჩენილმა კლუბმა ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში ფრანგულ „გრაველინთან“ მძიმედ დაწყებული შეხვედრის შემდეგ მეტოქეს გასაქანი არ მისცა და საბოლოოდ 86:73 მოუგო. ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ მოგებულმაც და წაგებულმაც 6 მოგებითა და 4 წაგებით ჯგუფიდან გამსვლელი მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს. D ჯგუფის პირველი საფეხური 8 მოგებითა და 2 წაგებით გერმანულმა „ალბამ“ დაიკავა.

არაგონული კლუბის ქართველი ლეგიონერები თამაშს სასტარტო ხუთეულიდან შეუდგნენ. ვიქტორ სანიკიძემ მოედანზე 16:39 წუთი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში თანაკლუბელებს 9 ქულით, 4 მოხსნითა და 1 პასით შეეწია (ვიკამ 2-დან 1 ორქულიანი, 4-დან 2 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი კი ერთხელ დაკარგა; 2 პერსონალური ჯარიმა მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთხელ დაჯარიმდნენ).

სანიკიძისგან განსხვავებით, ნაკლები სათამაშო დრო ჰქონდა შერმადინს - 12 წუთში

4 ქულა, 2 მოხსნა და 1 ჩაჭრა (2-დან 1 ორქულიანი და ორივე საჯარიმო გამოიყენა, 2-ჯერ დაჯარიმდა, მასზე კი ერთხელ დაირღვა თამაშის წესები).

ერთი სიტყვით, „სარაგოსამ“ ჯგუფური ეტაპი გადალახა და ევროთასის მეორე ჯგუფური ეტაპისთვის მეტოქეებიც გაარკვია.

არაგონული კლუბი P ჯგუფში მოხვდა, სადაც ურთიერთობის გარკვევა მოუწევს ხორვატიულ „ცედევიტასთან“, თურქულ „ბეშიქთაშთან“ და ლიტვურ „ლიეტუვოს რიტასთან“.

მეორე ჯგუფური ეტაპი ორ წრედ ჩატარდება. გამართული 6 ტურის გათვალისწინებით, მომდევნო ეტაპზე გავლენ ჯგუფებში I და II ადგილებზე გასული გუნდები. ევროთასის მოსაპოვებლად 16 გუნდი მერვედფინალიდან განაგრძობს ბრძოლას.

ევროთასის მეორე ჯგუფური ეტაპი 7 იანვარს აიღებს სტარტს.

წყალბურთელები ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის თურქეთთან იბრძოლებენ

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების მეტოქე ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელ ფლეი-ოფში თურქეთის ნაკრები იქნება.

ქართველ წყალბურთელთა მეტოქის ვინაობა ბარსელონაში 19 დეკემბერს გამართულ წილისყრაზე გაირკვა.

საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველ შეხვედრას 2014 წლის 15 თებერვალს თბილისში გამართავს, 1 მარტს კი მეტოქესთან გასვლაზე ითამაშებს. წარმატების შემთხვევაში, ქართველი წყალბურთელები ევროპის ჩემპიონატის საგზურს არსებობის განმავლობაში პირველად მოიპოვებენ.

ევროპის ჩემპიონატი 14-27 ივლისს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში გაიმართება. ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უკვე გასულები არიან უნგერთი, სერბეთი, მონტენეგრო, იტალია, გერმანია და საბერძნეთი.

წყალბურთში ევროპის ჩემპიონატის ფლეი-ოფი
15 თებერვალი - 1 მარტი
საქართველო - თურქეთი
უკრაინა - ესპანეთი
ჰოლანდია - რუსეთი
საფრანგეთი - მალტა
რუმინეთი - დიდი ბრიტანეთი
სლოვაკეთი - ხორვატია

სამინისტროს პრესსამსახური

სფფ წლის საუკეთესოებს 26 დეკემბერს დააჯილდოებს

26 დეკემბერს, ოფიციალურ მიღება-საღამოზე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია წლის საუკეთესო ფეხბურთელებს დააჯილდოებს.

„GFF Awards 2013“ უკვე ტრადიციულ, ოფიციალურ ფორმატში გაიმართება. დაჯილდოებასთან ერთად, სფფ განვლილ წელსაც შეაჯამებს.

წლის მთავარი ნომინაციები კი ასეთია:

ეროვნული ჩემპიონატის წლის საუკეთესო ფეხბურთელი
წლის საუკეთესო ახალგაზრდა (21 წლამდე) ფეხბურთელი
წლის საუკეთესო ქართველი ლეგიონერი ფეხბურთელი
საქართველოს 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელი

სპეციალური ანკეტების მეშვეობით, სფფ-მ გამოკითხვა უკვე დასრულა. საუკეთესოები გამოავლინეს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების მთავარმა მწვრთნელებმა, კაპიტნებმა და საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მთავარმა მწვრთნელებმა.

ღონისძიებას დაესწრებიან საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტები, ნაკრებების მწვრთნელები, სფფ-ის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, რეგიონული ფედერაციების ხელმძღვანელები, საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები და მედიის წარმომადგენლები.

გამარჯვებულები და ნომინანტები სფფ-ისგან სპეციალურ ჯილდოებსა და საჩუქრებს მიიღებენ.

სფფ-ის პრესსამსახური

წარმატებას წარმატება მოაქვს ქართული რაგბისთვის

პირველი გვერდიდან

ამ ფაქტს არაერთი გამოცემა გამოეხმაურა, დღეს კი იმ ისტორიულ გამარჯვებას რაგბის საერთაშორისო საბჭო ეხმაურება თავის ვებგვერდზე სათაურით: „წარმატებას წარმატება მოაქვს ქართული რაგბისთვის“.

რაგბის მმართველი ორგანიზაციის გვერდზე ქართულ რაგბიზე საუბარი ისტორიით იწყება. წერენ, რომ რაგბის საქართველოში დიდი და ამაყი ისტორია უმაგრებს ზურგს, რომელსაც 1920-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, საქართველოს რაგბის კავშირს კი - 1961 წელს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში პირველი შემთხვევაა, როცა ეროვნულმა ნაკრებმა სამოა დაამარცხა. კუნძულელების დამარცხებით აღმოსავლეთევროპულმა ქვეყანამ შესაძლოა საქართველოში რაგბის ძირეულად შეუცვალოს საფუძველი.

შარშან დანერგილი IRB's Get Into Rugby (GIR), რაც რაგბიში მასობრივად ჩართულობის ერთგვარი პროგრამაა, იმისკენაა მიმართული, რომ მსოფლიო მასშტაბით მოთამაშეთა რაოდენობამ მილიონს გადააჭარბოს.

ამ პროგრამის მიზანია რაგბის სახალხო თამაშად გადაქცევა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საჯარო სკოლებში რაგბის თამაშის დანერგვას - სავალდებულო გაკვეთილად შემოღებას. საქართველო ამ პროგრამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

საქართველოს რაგბის კავშირის ტექნიკური დირექტორი და განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი ჭუმბურიძე ამბობს: „ამ პროგრამაზე მუშაობას ზაფხულში შევუდექით. ოქტომბრის დასაწყისში კი პროგრამა ამოქმედდა. თავდაპირველად თბილისში სამი სკოლა შევარჩიეთ და პროგრამის ფარგლებში დავიწყეთ სახალისო რაგბის გაკვეთილების დანერგვა.

მალე კიდევ ორი სკოლა შემოგვიერთდა და საქმეც დაიძრა. ჩვენ ამ პროგრამას ნაბიჯ-ნაბიჯ ვავრცელებთ. დღეს მასში 120 პირველ და მეორეკლასელია ჩართული. ამ ციფრის გასამაგებას 2014 წლის ოქტმბრის ბოლოსთვის ვგეგმავთ.

იანვარში პროგრამას დავიწყებთ ქუთაისშიც - საქართველოს მეორე დიდ ქალაქში. იგივე გაკეთდება საგარეჯოში - აღმოსავლეთ საქართველოს პატარა პროვინციული ქალაქში. GIR ფეხს იკიდებს სამხრეთ-დასავლეთშიც - ასპინძის პატარა რეგიონში, სადაც 18 სკოლაა. იქ 200-მდე მოსწავლეა ჩართული პროგრამაში. რაგბი ახალგაზრდებში სპორტის მოწინავე სახეობა ხდება“.

GIR არის განვითარების პროგრამა, რომლის მიზანია რეგიონულ ასოციაციებთან თანამშრომლობით ეს თამაში მსოფლიო მასშტაბით გაავრცელოს, გლობალურად ჩართოს რაგბიში, ჩართოს თამაშში მოზარდები და ხელი შეუწყოს მათ ითამაშონ და დარჩნენ რაგბიში.

წლის დასაწყისში პროგრამის შემოღებიდან მასში ჩართულთა რაოდენობამ 175 ათასი შეადგინა. აქედან, უხეში გათვლებით, ერთი მესამედი ქალია. პროგრამამ შეაბიჯა 50 ეროვნულ კავშირში, მათ შორის, საქართველოში, სადაც ეს ყველაფერი უფრო დიდ მასშტაბს იძენს და ვითარდება, რაც ხელს უწყობს რაგბის განვითარებას.

სრკ ავითარებს სასკოლო რაგბის, რომლის მიზანი იქნება სრულმასშტაბიანი ეროვნული სასკოლო ჩემპიონატის შექმნა.

პროგრამის განხორციელებაში დიდ სამუშაოს ასრულებს რაგბის კავშირთან არსებული განვითარების ჯგუფი, რომელშიც შედიან საქართველოს 15 და შვიდკაცა ნაკრების წარმომადგენლები. ამ საქმეს კი სათავეში უდგას ეროვნული გუნდის კაპიტანი ირაკლი მაჩხანელი.

„თავდაპირველად ვგეგმავდით, თვეში ერთი გაკვეთილი ჩაგვეტარებინა, მაგრამ წამოწყება იმდენად პოპულარული აღმოჩნდა, რომ იძულებული გავხდით, გაკვეთილების რაოდენობა გაგვეორმაგებინა, - ამბობს ირაკლი მაჩხანელი. -

გვჯერა, ქალი მორაგბეების მონაწილეობა გოგონებში და მთლიანად პროგრამის მიმართ ინტერესს გაზრდის. თუმცა, მათი მხრიდან ინტერესის ნაკლებობას არც ახლა განვიცდით. მეორე გაკვეთილზე უკვე უამრავი კითხვა ჰქონდათ“.

შეიძლება ითქვას, ქართული რაგბისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა ნოემბერში თბილისში სამოას დამარცხება იყო. საქართველოს ნაკრებისთვის ეს იყო კარგი შესაძლებლობა რწმენის განსამტკიცებლად 2015 წლის მსოფლიო თასის საგზურისთვის ბრძოლაში.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს ვებგვერდი სამოასთან მატჩში კაპიტნის რანგში მყოფი მამუკა გორგოძის სიტყვებსაც იშველიებს: „ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ საქართველომ მოწინავე ათეულის ერთ-ერთი გუნდი დაამარცხა. ეს გამარჯვება მოთამაშეებისთვის, მწვრთნელებისთვის, გულშემატკივრებისა და რაგბის კავშირისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენმა ყველა მცდელობამ შედეგი გამოიღო. კარგი იქნება, თუ ასეთი დონის გუნდებთან მეტი თამაშის საშუალება მოგვეცემა.

გულშემატკივარს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოთამაშეებზე, რომლებსაც დიდ მადლობას ვუხდი. ჩვენ ეს მატჩი ერთად მოვიგეთ“.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ დაამატა: „მამუკას მთლიანად ვეთანხმები. ვერც კი წარმოიდგენთ, გულშემატკივართა მხარდაჭერა მოთამაშეებს როგორ აძლიერებს. წმინდა გიორგის ხსენების დღე იყო და ამ ფაქტმა გამარჯვებისთვის დამატებითი სტიმული მოგვცა. ის ფაქტი, რომ საქართველოს ნაკრებს ასეთი ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ თამაშის შანსი მიეცა, ყველაფერზე მეტყველებს. მართალია, დღეს რეიტინგში მერვე ადგილზე მყოფი გუნდი დავამარცხეთ, მაგრამ ხვალ შეიძლება ჩვენ ქვევით მყოფ ნაკრებთან დავმარცხდეთ. ეს ნორმალურია და დაუღალავი შრომა უნდა განვაგრძოთ. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განვვითარდეთ, რადგან შეუძლებელია ხუთ წუთში მოხვდე ათ საუკეთესო გუნდს შორის. სამოას დამარცხება საოცრება და სენსაცია იყო. მე არასდროს მინახავს ჩვენი გუნდის ასეთი შემოქმედებითი თამაში. ამ გამარჯვებით რაგბის მსოფლიო ოჯახში უდიდესი პატივისცემა მოვიპოვეთ და ახლა ასჯერ მეტი უნდა ვიმუშაოთ, რომ ეს პატივისცემა შევინარჩუნოთ“.